ბანკის ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული "პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების" 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ "პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების 1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „1.1 კომპანია (მეწარმე/გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი და/ან იურიდიული პირი/ორგანიზაციული წარმონაქმნი) უზრუნველყოფს სს „თიბისი ბანკის" (ს/ნ: 204854595, შემდგომში „ბანკი"/„თიბისი ბანკი") პოს ტერმინალის, როგორც საგადახდო საშუალების (შემდგომში - „ტერმინალი"/„პოს ტერმინალი") გამოყენებით, VISA, Master Card, American Express (Amex) და China Union Pay (შემდგომში ერთად და ცალ-ცალკე - „საერთაშორისო საგადახდო სისტემები") საერთაშორისო ბარათებით კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის/გაყიდული საქონლის ღირებულების უნაღდო ანგარიშსწორების წესით მიღებას (გადახდების მიღებას)."

2. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 1.1.2 პუნქტით განსაზღვრული „DCC"-ის განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „DCC - Dynamic currency conversion - თანხის გადახდის დროს პოს ტერმინალზე ვალუტის ცვლილებისთვის განკუთვნილი ფუნქციონალი. კლიენტს უცხოური ბანკების მიერ ემისირებული ბარათ(ებ)ით პოს ტერმინალით ტრანზაქციის განხორციელებისას, აქვს საშუალება DCC-თვის დასაშვები ვალუტებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი უცხოური ვალუტა, ტრანზაქცია განახორციელოს შესაბამისი უცხოური ვალუტის ეკვივალენტი თანხით და ტრანზაქციის წარმატებით დასრულების შემდეგ მიიღოს ქვითარი, რომელზეც აღბეჭდილი იქნება ვალუტებს შორის კონვერტირების კურსი და თანხა ორივე ვალუტაში. ასეთი ტრანზაქციისას, ვალუტათა შორის კონვერტაცია განხორციელდება სს „თიბისი ბანკის" ვებგვერდზე - https://www.tbcbank.ge/web/ka განთავსებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. DCC ფუნქციონალი არ ვრცელდება American Express (Amex) საგადახდო ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებზე."

3. <u>ხელშეკრულებას დაემატოს 2.2.1.1.8-2.2.1.1.16 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „2.2.1.1.8. American Express (Amex) ბარათის მფლობელისგან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოითხოვოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) ავტორიზაციის პროცესში ემიტენტი ითხოვს პირადობის გადამოწმებას; ან ბ) ბარათის უკანა მხარე ხელმოწერილი არ არის.

   2.2.1.1.9. უარი არ თქვას კონკრეტული საერთაშორისო საგადახდო სისტემის ბარათით გადახდის მიღებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ბარათი ეკუთვნის კონკრეტულ საერთაშორისო საგადახდო სისტემას, თუ აღნიშნული ბარათების მიღება გათვალისწინებულია ბანკსა და მერჩანტს შორის არსებული ხელშეკრულებით;

   2.2.1.1.10. ნებისმიერი ფორმით არ მიუთითოს რომელიმე საერთაშორისო საგადახდო სისტემის ბარათის უპირატესობაზე სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემის ბარათთან შედარებით ან წაახალისოს მომხმარებელი კონკრეტული საერთაშორისო საგადახდო სისტემის ბარათის გამოყენებისკენ, გარდა ქეშბექის, ლოიალობის, ფასდაკლების ან სხვა წამახალისებელი პროგრამის/კამპანიის ფარგლებში შესაბამისი შეთავაზების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა.

2.2.1.1.11. კონკრეტული საერთაშორისო საგადახდო სისტემის გარათის გამოყენებაზე არ დააწესებს ისეთ დამატებით ან განსხვავებულ პირობებს ან შეზღუდვებს, რომლებიც არ ვრცელდება სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემის გარათებზე.

2.2.1.1.12. არ დაყოფს ერთი ოპერაციის თანხას რამდენიმე ტრანზაქციად შესაბამისი ავტორიზაციის მოთხოვნის თავიდან აცილების მიზნით.

2.2.1.1.13. არ დააწესოს კონკრეტული საერთაშორისო საგადახდო სისტემის გარათით განხორციელებული ტრანზაქციის მინიმალური ან/და მაქსიმალური ოდენობა, გარდა ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტებისა ან იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი შეზღუდვა თანაბრად და არადისკრიმინაციულად ვრცელდება სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემის გარათით განხორციელებულ ტრანზაქციაზე.

2.2.1.1.14. მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებზე, მათ შორის, გარათის მონაცემებზე უნებართვო წვდომის, მათი გამჟღავნების, დაკარგვის ან უსაფრთხოების სხვაგვარი დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს აღნიშნული ფაქტის გამოვლენიდან 72 საათისა, აცნობებს ბანკს აღნიშნულის შესახებ.

2.2.1.1.15. არ განახორციელოს ტრანზაქცია სხვა მერჩანტის სახელით ან/და სხვა მერჩანტის მიერ მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

2.2.1.1.16. დაიცავს PCI მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტის (PCI Data Security Standard — PCI DSS) მოქმედი მოთხოვნები.“

4. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 2.2.1.11 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„2.2.1.11 შეინახოს სავაჭრო ქვითრები, ბაჩის ქვითრები და ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში. ხსენებული ქვითრები და/ან ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია გადასცეს ბანკს მისი მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში (გარდა ჩარჯბეკის შემთხვევისა, რა დროსაც ბანკისთვის ქვითრების და/ან ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაციის გადაცემა უნდა მოხდეს ბანკის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში);“

5. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 2.2.1.21 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„2.2.1.21 არ მოახდინოს საქონლის და/ან მომსახურების ღირებულებაზე (ოპერაციის/ტრანზაქციის თანხაზე) რაიმე დამატებითი საკომისიოს (მათ შორის კომპანიის მიერ ბანკის სასარგებლოდ გადასახდელი ნებისმიერი საკომისიოს)და/ან გადასახადის დამატება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანია წინასწარ, გადახდის მიღებამდე, კლიენტისთვის თვალსაჩინოდ მიუთითებს დამატებითი გადასახადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი მიზნობრიობის თაობაზე). ასეთის განხორციელების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ დარღვევაზე; კომპანია ვალდებულია, გარათით განხორციელებული ტრანზაქციის თანხაში გაითვალისწინოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.“

6. <u>ხელშეკრულებას დაემატოს 2.3.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„2.3.2 კომპანია აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მისი საქმიანობის ფარგლებში მოქმედი პოლიტიკა და პრაქტიკა არ ითვალისწინებს რომელიმე საერთაშორისო საგადახდო სისტემის გარათისთვის სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემის გარათთან შედარებით უპირატესობის მინიჭებას ან სხვაგვარ პრეფერენციულ მოპყრობას.“

7. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 6.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„6.1. თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან, ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას მეორე მხარის წერილობითი ნებართვის გარეშე არ გაუმხილოს მესამე პირ(ებ)ს რაიმე ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ხელშეკრულებას და წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ინფორმაციის გამჟღავნებაზე, თუ ასეთი გამჟღავნება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სასამართლოს, მარეგულირებელი, საზედამხედველო ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის ან/და შესაბამისი საგადახდო სისტემის წესებისა და მოთხოვნების შესრულების მიზნით.“

8. <u>შეიცვალოს დანართი #2-ის მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„მობილური ტელეფონის მეშვეობით QR კოდის დასკანერებით კლიენტ(ებ)ი შეძლებს მის მიერ განხორციელებული შეკვეთის (შეკვეთილი პროდუქტი / რაოდენობა / ღირებულება) გადამოწმებას, შეკვეთასთან დაკავშირებული დამატებითი გადასახდელ(ებ)ის (მომსახურების / დღგ და ა.შ., ასეთის არსებობის შემთხვევაში) / ფასდაკლების ხილვას და შეკვეთის საფასურის / თიფის თანხის გადახდას ნებისმიერი ბანკის Visa/Master Card/American Express (Amex) ბარათებით / ელექტრონული საფულით (Google/Apple Pay)/სს „თიბისი ბანკის“ ინტერნეტ-ბანკით.“

9. <u>შეიცვალოს დანართი #5-ის პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„წინამდებარე დანართით რეგულირდება/განისაზღვრება პოს ტერმინალზე ვალუტის ცვლილებისთვის განკუთვნილი ფუნქციონალის (შემდგომში - DCC) კომპანიისთვის გააქტიურების / გათიშვის ზოგადი წესები/პირობები. DCC ფუნქციონალი არ ვრცელდება American Express (Amex) საგადახდო ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებზე.“

10. წინამდებარე დოკუმენტის 3-6 პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებები / დამატებები ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 1 (ერთ) კალენდარულ თვეში (2026 წლის 28 ნოემბრიდან), ხოლო 1-2 და 7-9 პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებისთანავე.